

ანდრია ბენაშვილი (1867-1941)

ანდრია ბენაშვილი - პროფესორი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სამხედრო და საზოგადოებრივი მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

ანდრია ბენაშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეობის ისტორიაში. იგი ითვლება ქართული გეოდეზიური და ასტრონომიული სკოლის ფუძემდებლად. 1918 წელს უნივერსიტეტში მან დააარსა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა, რომლის ბაზაზეც შემდგომ წარმოიშვა ასტრონომიისა და კარტოგრაფია-გეოდეზიის დამოუკიდებელი კათედრები. ამ მიმართულებით მან აღზარდა მეცნიერ პედაგოგთა და პრაქტიკოსთა მრავალი თაობა.



1919 წლიდან პროფ. ანდრია ბენაშვილს დაევალა სამათემატიკო – საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა. იგი ხელმძღვანელობდა ასევე პროფესორთა საბჭოს 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომას, სადაც ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორად.

პროფ. ა. ბენაშვილი იყო ყველა იმ საორგანიზაციო ღონისძიების აქტიური მონაწილე, რომელთა საფუძველზედაც 1922 წლის იანვრიდან თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რამაც საფუძველი დაუდო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას.

პროფ. ა. ბენაშვილმა გამოსცა სფერული ასტრონომიის, და სფერული ტრიგონომეტრიის, უმაღლესი გეოდეზიისა და ტოპოგრაფიის პირველი ქართული სახელმძღვანელოები.

პროფ. ა. ბენაშვილის გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს სოხუმში. მისმა მოსწავლეებმა, პროფესორ ნიკოლოზ თევზაძის თაოსნობით, საყვარელი მასწავლებლის ნეშტი გადმოსვენეს თბილისში, ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა მისი საფლავის ადგილსამყოფელი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, 2018 წელს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ბენაშვილის საფლავს მიაკვლიეს. სიმბოლურია, რომ მივიწყებული საფლავი მოიძებნა სწორედ წელს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანდრია ბენაშვილის დაბადების 150 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ივანე ჯავახიშვილს და ანდრია ბენაშვილს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ. ერთ-ერთ წერილში ანდრია ბენაშვილი წერს ივანე ჯავახიშვილს: „*თქვენი*

ღვაწლის სამშობლოსა და უნივერსიტეტის წინაშე დაფასება ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სახელი უნივერსიტეტის სახელთან განუყოფლად არის შეკავშირებული და სანამ არსებობს საქართველო და ქართველი ხალხი, იენება ცოცხალი უნივერსიტეტი და მასთან ერთად თქვენი სახელიც“.

პროფ. დალი ნიკოლაიშვილი
ასოც.პროფ. თენგიზ გორდეზიანი